ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 97250692
თარიღი:10/03/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა -03

დ. ლენტეხი. 25 /თებერვალი/2025წ.

მიმდინარე წლის 25 თებერვალს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაწდელიანი. სხდომას ესწრებოდა ბიუროს 10 (ათი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ბიუროს 8 (რვა) წევრი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 21 თებერვალს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა მომართა საკრებულოს (წერილის N- 96-962505223) რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე. სხდომის ჩატარების ძირითადი მიზანია ა(ა)ი.პირების 2024 წლის გეგმა - პროგრამების დაზუსტება. ამავე დროს დასამტკიცებელია 2025 წლის გეგმა-პროგრამებიც. საკრებულოს კომისიების მიერ მომზადებულია საკითხები საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად. სხდომის ჩატარებამდე კომისიები დამატებით კიდევ გაივლიან აღნიშნულ საკითხებს და დააზუსტებენ. შესაბამისად რიგგარეშე სხდომის **დღის წესრიგის პროექტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:**

1. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

თანამომხს: საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი.

თანამომხს: საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ 2024 წლის გეგმა პროგრამებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე.

თანამომხს; ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ 2025 წლის გეგმა-პროგრამების დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე.

თანამომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

შენიშვნა რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

მოისმინეს: რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე ზოგადი მიმოხილვა გააკეთა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ. მან აღნიშნა, კომისიამ გაიარა ყველა ეს საკითხი მერიის საფინანსო სამსახურის უფროსთან ერთად, რომ 2025 წლისთვის საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ყვალა აიპის თანამშრომელს მიეცეს სახელფასო დახამატი 10% და დამატებით 125 ლარი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)ი.პ-ების სახელფასო ზრდამ 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგინა 1,520,500 ლარი. საქართველოს მთავრობის N-332 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1,000,000 ლარი ა(ა)ი.პირების თანამშრომელთა სახელფასო სუბსიდირებისათვის. აგრეთვე ლენტეხის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების შესასრულებლად საჭიროა თანხის დამატება სპორტულ ღონისძიებებზე 50,000ლარი. საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა 50,000ლარი, სარეზერვო ფონდი 35,000ლარი, გზები და ხიდების მუხლში 50 000 ლარი. აღნიშნული ღონისძიებებისათვის უნდა გაიზარდოს ბიუჯეტის ადგილობრივი შემოსავლები 705,500 ლარით.

აგრეთვე წარმოდგენილია 2025 წლის 1 იანვრისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის 3,366,900 ლარის განაწილება, თავისუფალი ნაშთი 361,800 ლარი და კაპიტალური 3,305,100ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდა გამომდინარე უნდა შევიდეს ცვლილება 2025 წლის ბიუჯეტში, დაზუსტდეს 2024 წლის გეგმა-პროგრამები და დაზუსტდეს 2025 წლის გეგმა-პროგრამები.

საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი განხილვები არ ყოფილა.

დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს სხდომა დასრულდა დღის 13 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი